№ 159 8 მარიამობისთვე, სამშაბათი 1866—1878 8 მარიამობისთვე, სამშაბათი № 159

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირ ღოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲞᲐᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ფილ ასობით ასოზე—1 კაპ., ანონ-ხელოვნურად სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 4 აგვისტოს. რუმინია ამ აგვისტოს დამლევს ჩააბარებს რუსეთს ბესსარაბიის იმ ნაწილსა, რომელიც ბერლინის კონგრესმა არგუნა.

ᲕᲔᲜᲐ 4 აგვისტოს. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ რუსის მთავარი კვარტირი 20,000 ცხენს ჰყიდისო. მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ამ დღეებში კიდევ მოლაპარაკება მოხდაო და ამის გაშო შესაძლებელია, რომ რუსის ჯარის დაბრუნებას სტამბოლის არე-მარედამ დაგვიანდეს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 6 აგვისტოს. შეფ-ჟანდარმის ღენ. მეზენცევის მკვლელი ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენიათ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 აგვისტოს. გაზეთს „Morning Post“-ში იწერებიან: გადაწყვეტილია, რომ წელს ინგლისის პარლამენტი დათხოვნილი არ იქნება.

გაზეთს „Times“-ს მოუვიდა შემდეგი დეპეშა სტამბოლიდამ: რუსის ელჩმა თ. ლობანოვ-როსტოვსკიმ გარდასცა ამ დღეებში ოსმალეთის მმართველობას ნოტა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ რუსის ჯარები ამ მოკლე ხანში მიატოვებენ სტამბოლის ახლო-მახლო ადგილებს და რუსეთში დაბრუნდებიანო. მოშავალი კვირის პირველ დღეებში დაიწყებენ რუსის ჯარების ხომალდებით გამოსტუმრებას.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 2 აგვისტოს. ოსმალეთის მთავრობამ გაუგზავნა დღეს თავის წარმომადგენლებს უცხო ქვეყნებში ცირკულიარი, რომელშიაც ის არღვევს საბერძნეთის მინისტრის დელიანისის საბუთებს და რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ოსმალეთს არ შეუძლიან საბერძნეთის მოთხოვნილება დაკმაყოფილოსო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 4 აგვისტოს. დღეს, დილით, როდესაც ჟანდარმების შეფი (თავი) ღენერალი მეზენცევი მიხაილოვის მაედანზე დასეირნობდა, ვიღაც ბოროტ პირებმა დასჭრეს ის ხანჯლით. ამ პირებმა ორჯელ ისროლეს რევოლვერი და შემდეგ დროჟკით (ლიხაჩით) გაიქცნენ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 4 აგვისტოს. დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე, ჟანდარმების უფროსი ღენ. ნიკოლაი ᲕᲚ ადიმირის ძე მეზენცოვი მოკვდა იმ ჭრილობისგან, რომელიც დილას მიიღო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 4 აგვისტოს. დღეს, ადრე დილით, აქაური საპყრობილის ეზოში გააგდებინეს თავი ბედელს, რომელმანც პირველად განიზრახა ბერმანიის იმპერატორის მოკვლა და ესროლა იმას თოფი.

ᲕᲔᲜᲐ, 1 აგვისტოს. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან, რომ რუსის გვარდიის ჯარის ოდესაში დაბრუნებას ამ თვის 7-ს დაიწყებენო.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 3 აგვისტოს. სერბია მდ. დრინის ნაპირზე აგროვებს ჯარებს. არნაუტელები ბოსნიის აჯანყებულებს უერთდებიან.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 4 აგვისტოს. ოსმალეთმა

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲨᲕᲘᲚᲓ-ᲘᲡᲠᲘᲗ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ

მოუთმენელი მოლოდინი.—მოულოდნელი შემთხვევის მსხვერპლი.—შპატრონო ქონება.

ᲑᲐᲰᲡᲭᲘᲠᲓᲐ საქმე! ᲐᲛᲓᲔᲜᲘ მოუთმენელი მოლოდინი ფარსაკს არაფერს აფიქრებინებს კაცს!

ᲯᲔᲠ იყო, ბატონო, და ბერლინის კონგრესის დაწყებას მოველოდით მოუთმენელათ; მერმეთ, როცა კონგრესი დაიწყო, მის გათავებას მოველოდით; ახლა... ᲐᲮᲚᲐ თფილისის კონგრესის დაწყებას მოველით მოუთმენელათვე!

მაგრამ ჯერ ერთ-ორ სიტყვას იმაზედ მოგახსენებთ (ამისთანა მოდაა ახლა), რომ თფილისის კონგრესს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექნება. სწორეთ არ უნდა იფიქროთ ეს. ᲘᲪᲝᲚᲔᲗ, არ იფიქროთ! ᲗᲥᲕᲔᲜ უნდა იცოდეთ და არ იფიქროთ, რომ, რადგანაც თფილისი ჩვენი დედა-ქალაქია, ეითომ მე ისეთი ვიწრო პატრიოტი ვიყო, სხვების მზგავსათ, რომ მინდოდეს თფილისში რომლისამე პოლიტიკური საქმის გამრჩევი კონგრესი იქნეს. არა, მე სრულიათ ამისთანა კაცი არ გახლავარ და არ მინდა არაფერი ამნაირი. ᲘᲥᲜᲔᲑᲐ თქვენ არც კი ჰფიქრობდეთ, ჩემზე ამას, არც შემდეგ იფიქროთ, მაგრამ მე მაინც გაფრთხილებთ: ამას მოითხოვს ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ. ᲗᲥᲕᲔᲜ შეიძლება არას მწამებდეთ, არას მკითხავდეთ; მაგრამ სიმართლისაგან იძულებული მე მაინც მოგახსენებთ ყველაფერზე, მით უმეტესათ, რომ სრულიათ არ მეშინიან იმისი, ნათქვამი რომ არის:—„არა მკითხე მოამბე, მიბერტყე და მიაგდე“. ᲗᲥᲕᲔᲜ თუ მწყალობელი მეყოლებით, რა უნდა მიშავდეს!

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ უნდა იქნეს კონგრესსი, რომელმაც უფ. ნიკოლაძე და ᲚᲝᲚᲐᲫᲔᲠᲘᲫᲔ უნდა გაასამართლოს. მათგან დანიშნულნი კაცები უნდა შეიკრიბონ და დაადგინონ, ვინ არის ამ ორს შუა მტყუანი და ვინ მართალი.

არაფერი ეშველა ამ საქმის ბოლოს მოღებას. ᲔᲡ რამდენიმე წელ იწადია სულ ერთი ვაი-უშველებელია. ᲔᲠᲗᲘ სულ ᲰᲡᲬᲔᲠᲡ, ᲰᲡᲬᲔᲠᲡ და ᲰᲡᲬᲔᲠᲡ დაუწყენარებლათ; მეორე სულ ᲰᲓᲣᲛᲘᲚᲔᲑᲡ, ᲰᲓᲣᲛᲘᲚᲔᲑᲡ და ᲰᲓᲣᲛᲘᲚᲔᲑᲡ, აბა მე უფრო მალე მომწყინდება სიჩუმე, თუ ჩემ მოწინააღმდეგეს წერაო.

საქმე კი პირ-და-პირ შეეხება საზოგადოების ინტერესებს.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, რას შერება, რომ ეს კაცი პასუხს არ აძლევს თავის მიწინააღმდეგეს! ᲐᲛᲑᲝᲜᲡ, დავამტკიცებ ჩემს სიმართლესაო, და არსადაა. ᲐᲒᲔᲠ გული წაგვიეა...

— ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲛᲐ მშვიდობა მიჰსცესთ ორიეეს-თქო, ეიტყოდით, რომ აქ მათი კერძო საქმე იყოს; მაგრამ ᲑᲐᲜᲙᲘ რომაა გახლართული საქმეში? როგორ შეიძლება ამდენი გეიანობა? ᲓᲠᲝᲐ დავინახოთ სიმართლე, თორემ ვინ იცის იქნება „პეტრეს მოსვლამდის პაელე—ბანკს ტყავი გაჰსძერეს“!

— ᲐᲡᲔ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲑᲔᲠᲜᲘ და უნდა გითხრათ, მეც ჩემის მხრით მოუთ-

და ავსტრიამ შეჰკრეს ერთმანეთს შორის კონვენცია (პირობა). ამ კონვენციაში მოხსენებული არ არის—თუ რამდენ ხანს უნდა იყვნენ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ავსტრიის ჯარები. ამ პროვინციების უზენაესი უფლება ხონთქარსავე აქვს მინიჭებული. ავსტრიამ ბევრი რამ დაუთმო ოსმალეთს, რადგან ბოსნიელები აჯანყდნენ და იმიტ ჯარს ნებით არ უშვებდენ თავიანთ ქვეყანაში.

ლონდონი, 4 აგვისტოს. დღეს დაიხურა ინგლისის პარლამენტის წლეულ-დელი სესსია (კრება). ქოროლევის ვიქტორიის სიტყვაში ჩამოთვლილია გავლილი პოლიტუკური საქმეები და გამოთქმულია იმედი, რომ მშვიდობიანობა არ იქნება დარღვეულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97	50
მეორესი — — — —	96	37
მესამესი — — — —	96	12
მეოთხესი — — — —	95	87
აღმოსავლეთის — —	95	60
ოქრო, ½ იმპერიალი—	7	86

თფილ. თავად-აზნ. ბანკის
გირაოს ფურცელი— — „— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	236	— „
მეორე სესხის — — —	236	— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	25—	„	პენსი
ამსტერდამი— —	127	87	ცენტი
ბერლინი— — —	215	50	პფენიგი
პარიჟი — — —	264	50	სანტიმი

საქართველო

დღიური

*** მოგეხსენებათ, რომ, უმაღლესი მთავრობის წინადადებით, ჩვენმა ქალაქის ბამგეობამ გარდაწყვიტა, რომ მოსპოს ყველა სასაფლაოები, რომელნიც ქალაქის წრეში არიან და ეამართოს ყველა სარწმუნოებისათვის ცალ-ცალკე სასაფლაო ქალაქს გარეთ, ნავთლუღის ქვემოთ. ამ გარდაწყვეტილებით, როგორც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, ვერის სასაფლაო უკვე დახურეს და გასული ივლისის თვის დამლევიდამ მიცვალებულებს დროებით მახათის მთაზედ მმარხავენ.

ეს განკარგულება, რომ ქალაქის წრეში სასაფლაოები აღარ იყოს, რასაკვირველია, გონიერული და ქალაქის ხალხის-ჯანმთელობისათვის ძალიან სასარგებლო განკარგულებაა. მაგრამ არ შეიძლება ისიც არა სთქვას კაცმა, რომ, სანამ ქალაქიდამ სასაფლაოებიდინ ცხენის რკის გზას არ გამართვენ ან სხვა რამე საშუალებას არ მონახავენ, ამ ნაირად მოშორება სასაფლაოებისა ძალიან დიდ დაბრკოლებას შეადგენს როგორც მიცვალებულების გადატანისათვის, აგრეთვე ჭირისუფლებისათვის, რომელნიც ამ მიცვალებულების დასაფლავებაზედ ესწრებიან ხოლმე უკანასკნელი ცრემლის დასაყრელად და გამოსათხოვებლად.

იმედი ვიქონიოთ, რომ ქალაქის ბამგეობა დროზედ მოიფიქრებს, რომ ამ მხრით რაიმე შეღავათი მიეცესთ მიცვალებულების ჭირისუფლებს.

*** სრმხურ გაზეთს „მეღუში“ იწერებიან ყაზახ-ბორჩალოდამ, რომ იქით მხარეს სოფლებში ამ ჟამად საშინელი სატკივარი არის გაჩენილი და—ბევრი ყმაწვილები იხოცებიანო.

*** სოჭიდამ იწერებიან გაზეთს „ძავკაზში“, როგორც ჩვენ შევიტყეთო, აბხაზების გადასახლების შემდეგ დარჩენილ თავისუფალს მიწებზე 4,000 მოსახლემდინ რუსები აპირებენ გადასახლებასაო და თუ ეს მართალია, მაშინ ეს გაუდაბნოებული მხარე ნელ-ნელა დასახლდებაო.

*** ბაქოს გაზეთი გვაცნობებს, რომ სპარსეთის შაჰი პეტროვსკში დაბრუნდაო და აქედამ პირ-და-პირ თავის ქვეყანაში მიდის ქასპიის ზღვითაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

საინგილოდგან, 1 აგვისტოს. აბა როგორი სიყვარული ექმნებათ ერთმანერთში ცოლ-ქმრებს, როდესაც ერთი იმათგანი 30 წლისაა, მეორე 14—15 წლისა; ანუ როდესაც ერთი მოხუცებული ქვრივია, მეორე 15—20 წლის ქალი ყოველის ახალგაზდობის სიმშვენიერებით შემკულობით; როდესაც ერთის სიცოცხლე ნელდება, ქრება, მეორის კი ღვივის, იფურჩქნება და ჰყვავის?

ამას მე ვიკითხავ მისთვის, რომ ჩვენში ამ გვარი მოვლინებები ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ:

ეხლა ხანს ჩვენში 14 წ. ქალი 40—45 წლის კაცმა შეირთო.

ამისთანა უგუნურ გაცვეას მოსდევს მავნებელი ბოლო: ამ გვარ დედ-მამისაგან იბადებიან ჭირიანი და ხშირად ავათმყოფი შვილები, რომლებიც ან და-

---

მენელათ მოველი სიმართლის გამოაშკარებას. დავინახავთ მაშინ, ვინ როგორ კანშია და როგორში უნდა იყოს. ხელს ჩამოვართმევთ მართალს ნიშნათ მადლობისა, რომ ჩვენი კეთილ-დღეობისათვის ამდენი ხანია მჭევრმეტყველურათ ჰყვირის, თუ ჰდუმილებს, და ხელს ჩამოვართმევთ მტყუანსაც, მაგრამ ნიშნათ იმისა, რომ მისი მჭევრმეტყველური სიჩქარით, თუ ყვირილით ჩვენზე მზრუნველობის დასასრულის ჟამმა დაჰკრა, და დადგეს თავის ქერქში. ითონ ბრალდებულები დათანხმდებიან, თუ არა საქმის ამნაირ დაბოლოებაზე, სულ ერთია. რასაც მედიატორული სამართალი არ გადაწყვეტს მტყუანს სასჯელათ, იმას უნდა მოელოდეს მტყუანი საზოგადო ჰაზრისაგან....

—

დასწყევლოს ეშმაკმა მოულოდნელი შემთხვევა! რამდენ ფერად-ფერად პლანებს გადააბრუნებს და ყირამალაზე დააყენებს! რაა, რომ ხანდის-ხან მოულოდნელათ შემოუბერავს ქარი, და სანთელი, რომელიც ეს არის ახლა გენთებოდა, რომლითაც შეგეძლო ძლიერი ცეცხლი გაგეჩინა და ლაზათიანათ ხელი გაგეთბო,—ამისთანა სანთელი ერთბაშათ ჰქრება.

რა მოულოდნელი შემთხვევა ეწვიათ ამ ეაჟბატონებს! როგორღა გამოძვრენ ახლა?. . . ხაზინადარი უნდა ყოფილიყო ეს ყმაწვილი იმ საქმეში, რომელიც ჯერ მთლათ დაბადებულიც არ იყო,—ისე განქრა ვითა სიზმარი. თავიდანვე ჰგრძნობდა, თითქო რაღაც მრგვალ-მრგვალი, ოქროების გზავსი, ხელებში უგორავდა, და აგერ ერთბაშათ ხელიდან გაუვარდა!

რაღა ჰქნას, არ იცის. როგორ ჰსთქვას, სად ჩაუარდა? სანთელი ხომ ქარმა გაუქრო: ბნელაში დარჩება საწყალი მოულოდნელ შემთხვევის მსხვერპლი!

ამ ნაირი ფიქრი მომიეიდა თავში, როცა დღეს შევხვდი ერთ ყმაწვილს, რომელიც ნელ-ნელა მისეირნობდა ქუჩაში, ღრმათ დაფიქრებული.

დაფიქრებული კაცები ხომ ძრიელ გამრავლდნენ ამ ხანათ ჩვენს ქალაქში და გუბერნიაში. ფეხსაც ვერ გადაადგამ, რომ არ შეხვდე ამისთანა კაცებს.

რა გაეწყობა, ომიანობაა თითქმის ჯერაც. ყველა წამში სხვა-და-სხვა ამბავი მოდის. ამ წამში რომ სასიამოვნოს გაიგონებ, მეორეში წინააღმდეგს. არ გეჭაშნიკება, მაგრამ რა ექნათ! მაგალითათ, ერთი ამბავი მოვიდა, რომ პოლკი უნდა შეჰსდგესო და მეორე—უნდა დაირღვესო.

დასწყევლოს ეშმაკმა მოულოდნელი შემთხვევა!

—

ძიდევ შემთხვევა! მაგრამ ეს შემთხვევა მოულოდნელი კი არა, ახირებული: უპატრონო ქონება შეიძლება? მერმე ჩვენში? რასაკვირველია, არა. იმდენი საჭიროება გვაქვს, იმდენი საშუალება უნდა ამ საჭიროების დაკმაყოფილებას, რომ, რაც უნდა იყოს, მაინც ვიცით რა არის ჩვენი და რა სხვისი.

აბა რა ესთქვა? . . . ჰო, მომაგონდა! დასწყევლოს ეშმაკმა ახირებული მდგომარეობა! ბინდა ჰსთქვა რაღაც, მაგრამ სიტყვა პირში გაწყდება და ვერ გრძნობ თავის თავს მაინცა-და-მაინც სასია-

ბადებითვე იხოცებიან, ან ორიოდე წლის შემდეგ...

მადლობა ღმერთს, ძლივს ეელირსეთ წვიმას! ორი თვის განმავლობაში ჩვენში წვიმა არ ყოფილა; მიწა დამსქდარი იყო და ფეტვისათვის მოსვლა შეუძლებელი გახდა.

ახლა კი, როდესაც ფეტვის დათესის დრო გავიდა, გვეწვია იმ გვარი წვიმა, რა გვარიც ღრმა მოხუცებულებსაც არ სიზმრებიათ. მართლაც, უჩვეულებრივო წვიმა გახლდათ.

24-ს ივლისს, საღამოს ჟამს, ისრე მოასხა ხშირმა წვიმამ, რომ რაც ხეები იყო, სულ გამოვიდნენ თავის რიყეებიდან და ბევრი ზარალი მისცეს მოსახლეებს: ბევრი გზები გაეფუჭეს, ხიდები წალეკეს, ბევრს მინდვრით მოსტაცა საცხოვრებელი საზრდო გაულეწელი პური, აბიბინებული დღე-დღეზედ მოსამკელი ჩალთუქი (ბრინჯი); მაგრამ ეს კიდე არაფერი; უმთავრესი ბოროტი ის არის, რომ წაიღო სახლები, მამულები და ამ მამულებში მცხოვრები პატრონები.

დღესაც, 27-ს, წვიმს. აქაურ ხალხს კალოები მინდერათა აქვთ, ძნებიც კალოებთან აქვთ შენახული. ეს ძნები ისრე დაასველა წვიმამ, რომ ხალხს თავს-ზარი დასცებია, ვაი თუ მოსავალი დაგვილპა, შიმშილით დავიხოცებითო.

მდ. ჭურმუხი ნელა-ნელა თავგისავით სჭამს ბაღების და ეზოების მიწებს და დიდი წარმატებაცა აქვს. ბევრი ნაშენი ადგილები რიყეთ აქცია. სხვათა შორის ჭურმუხი ქახისა და ელისისათვის საშიშია, რადგან ამ სოფლების გვერდით გროვათა მიმდინარეობს და რადგან მხოლოდ ამ ადგილებში მას აქვს შეერთებული ძალა. ელისაში წიქვილები და მეწისქვილეები, ქახში ბაღ-ბაღჩის ნაპირები წაიღო.

სოფელი ქახი ორ-მთას შუა ცოტა ამობერილ ადგილას მოფენილა. აღმოსავლეთის მხრით, სადაც მაღალი მთებია, ჩამოუდის მდ. ჭურმუხი. ამისათვის მდ. ჭურმუხი დიდის სიჩქარით ჩამორბის, რადგან სათაური მაღალ ადგილას აქვს. ამ მდინარეში რომ ნიაღვარი მოვა, მაშინ გზები იკვრება და ერთი ნახევარი კახელებისა რჩება უგზო-უკელოთ, რადგან სამუშაო ადგილი მათა აქვთ ჭურმუხს იქით. ამ წვიმის დროსაც ასრეევ დაემართათ საწყალ ინგილოებს. ხალხს ეშინიან, რომ სოფელი ქახი არ წაიღოსო.

უწინ ჩვენში ქურდობა გახშირებული იყო; ახლა კი თითქმის სრულიად მოისპო, რადგან აქაური მთავრობა სასტიკათ ეპყრობა ქურდებს და ავაზაკებს.

ქახის უჩასტკაში არიან ქურდების დასაჭერათ დაყენებულნი 12 კაცი (ოღრუბეგი). ამათ ყოველ სოფელში უნდა იარონ და ეძიონ ქურდები. ამ ოღრიბეგებმა თავის ნაჩალნიკის ბუნუსას შემწეობით ერთის კვირის წინ დაიჭირეს 4 ქურდი, რომლებსაც წაართვეს ოთხი ხარი, ერთი კამბეჩი და სამი ცხენი.

X.

ომის შემდეგ

ინგლისი

ლონდონის ერთს საზოგადო კრებაში ლორდ ბიკონსფილდს წარმოუთქვამს სიტყვა ინგლისის პოლიტიკის თაობაზედ. ამ სიტყვაში, სხვათა შორის, ბიკონსფილდმა მოიხსენა, რომ ინგლისის მფარველობის ქვეშ და ინგლისელების შემწეობით მცირე აზია აჰყვავდება, ხალხს რიგიანი მმართველობა მიენიჭება, ქვეყანა შეიძლებს იქაური ბუნებითი სიმდიდრით ისარგებლოს და ეშნაირად თვითონ ადგილობრივი ხალხიც უკეთესს ეკონომიურ ცხოვრებას მიაღწევს და გარეშე ქვეყნებსაც ვაჭრობა და აღებმიცემა გაუადვილდება იმათთანაო.

ეს სიტყვა ლორდ ბიკონსფილდისა განსაკუთრებით მოსწონებიათ ლონდონის ვაჭრებს.

ოსმალეთი

ამბობენ, ვითომც ხონთქარმა კერძო წიგნით სთხოვა ინგლისის კოროლევას ვიქტორიასაო, რომ ბოსნიაში შესვლა დაუშალოს ავსტრიას. კოროლევამ შესაძლოთ ვერ დაინახაო, რომ ეს თხოვნა აღესრულებინა, რადგან ავსტრიის მოქმედება ამ შემთხვევაში კანონიერია, ბერლინის კონგრესსის გარდაწყვეტილებაზედ არის დამყარებულიო.

— „ჰავასის სააგენტოში“ იწერებიან სტამბოლიდამ, ღენ. ტოტლებენმა გამოუცხადა ოსმალეთსაო, რომ როგორც ვარნას დაგვითმობთო, იმწამსვე ჩვენ ჩატალჯამდინ უკან დავსწევთ ჩვენს ჯარსა და ამას გარდა თქვენს ტყვეებს ნება მიეცემათ, რომ სევასტოპოლში ჩასხდნენ ხომალდზე და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

— საფრანგეთის ელჩს უ. ფურნიეს გამოუცხადებია ოსმალეთის მინისტრებისათვის, რომ, თუ ხონთქარმა არ დააკმაყოფილა საბერძნეთის შესახებ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილება, საფრანგეთი თავის მოვალეობად დაინახავსო, რომ გაერიოს ამ საქმეში და საბერძნეთის მხარი დაიჭიროსო.

რუსეთი

ოფიციალურად გამოცხადებულის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ქავკასიის არმიაში ამ ჟამად სულ 20,064 კაცი არის

მოვნო მდგომარეობაში. დაკავებულს, პატრონიანს ხელ-ახალი პიტრონი უჩნდება, თითქო უპატრონო იყოსო.

ასეა კერძო საქმეებში.

ესა ჰაჭირს ისეთს რამეებსაც, რომელნიც საზოგადო ინტერესისათვისაც გამოსადეგია. მაგრამ ამ ნაირი გამოსადეგი თუ არის რომელიმე საგანი, ამაზე ხომ სულს ვერ დაჰბერავ. საზოგადო?! რომელი საზოგადო? საზოგადო, საერთო რა საჭიროა! იცხოვრე თითოეულმა შენს სოროში, კერძოთო, გეუბნებიან.

ამ ნაირ წესს, რასაკვირველია, ხშირად ის მოსდევს, რომ საჭიროების დროს, როცა ერთობაა საჭირო, როცა საჭიროა გაგება იმისთანა საგნებისა, რომელთაც მარტო საზოგადო საქმეებში გაჩეეული კაცი მიხვდება, მაშინ უსიამოვნებას ჰხვდებიან; მაგრამ ვისი ბრალია? სხვა გვარათ ვერ წარმოუდგენიათ საქმე.

ერთი სახლი გახლავთ აქ. აშენებულია ქალაქის მიწაზე და აზნაურობის ფულით. სცენის მოყვარეებმა მოინდომეს ისარგებლონ ამ სახლით, როცა ის თავისუფალია სხვა საჭიროებისაგან. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამდენი ხანი ეძებენ და პატრონი ვერ იპოვნეს. რომლისათვისაც უნდა ეთხოვნათ ნება ამ სახლით სარგებლობისა! აზნაურობა ამბობს, რომ ჩვენი ფულით არის აშენებულიო, მაგრამო. . . . მაგრამ სხვას ვსთხოვეთ ვისმესო. ქალაქი ამბობს, ჩემ ადგილზედ აშენებულია, მაგრამაო, მაგრამ. . . სხვას სთხოვეთ ვისმეო. . . ახლა მიჰმართეს ადმინისტრაციას. ის ამბობს, რომ არ იქნება თქვენგან მისი სარგებლობა, წაახდენთ რასმესო!

მადლობ ღმერთს! ამისაგან მაინც აღარ გვესმის „მ ა გ რ ა მ“. მაგრამ გაფუჭება მეტი იქნება, ვიდრე ნახა კიდეც იმ სახლმა ამ წლის მისი მდგმურებისაგან, რომელნიც დარწმუნებული ვარ, არავინ იტეის, რომ ისინი სცენის მოყვარეები იყვნენ;? მუხლებამდის მტვერი, ტალახი, ჩამონგრეული კედლები, ყველაფერი საძაგლობა!

რა ურიგობა იქნება, ამ სიბინძურისაგან კაცმა სახლი განათავისუფლოს და მოიხმაროს საზოგადო სარგებლობისათვის? მაგრამ უსათუოთ გვკითხვენ:

— რა საზოგადო სარგებლობაო? თეატრიო? რათ გინდათ თქვენ თეატრიო?“

რა ვქნათ, გვინდა, გვინდა. ბევრი რამ სხვაც გვეჭირვება, სხვაც გვინდა, გვინდა ფხიზელი ვიყოთ, ცოცხალი ვიყოთ ვხედავთ, რომ არ ვარგა მუდამ ერთი სიმღერის მღერა:

ძილი მინდა, ძილი მე, ძილი მე, ძილი მე!

ძილის სულის ჭირი მე, ჭირი მე, ჭირიმე!

ორემ თქვე დალოცვილებო, რომ თქვენც იძინოთ, ხომ ადვილათ შეიძლება, რომ ქურდი შემოგვეპაროს, ყველაფერი გამოგვაცალოს ხელიდან თქვენცა და ჩვენც და პირ-ღიები დაგვტოვოს!!

ასე და ამ პირსა ზედა. . .

ქუთაისი, 4 აგვისტოს

მშვილდ-ისრიანი

ავათ სხვა-და-სხვა ავათმყოფობითაო. ამ რიცხვიდამ უარსის ატრიადში—5,057 კაცი, არტაანის ატრიადში—1,489, ერევნის—1,042, რიონის ატრიადში—2,131, სანიტარის ლოშპიტლებში—3,140, თერგის მაზრაში—3,507, უუბანის—742 და დაღესტანის მაზრაში—1,115 კაცი.

— ამბობენ, ვითომც ღენ. ტოტლებენს ეთქვას ოსმალოს ერთი დიპლომატისათვის: „თუ ოსმალეთმა არ დააკმაყოფილა ბერლინის კონგრესისაგან დამტკიცებული ჩვენი მოთხოვნილება, ჩვენ ხელ-ახლად დავიწყებთ ბრძოლას, და დღემდინ ჩვენ სლავიანებისთვის ვიბრძოდით, ახლა კი ჩვენთვის ვიბრძოლებთ!“

განცხადებანი

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

(1—3)

ქუთაისში
ანტონ ლოლთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ აგვისტოს 12-ს, იმის თან-დასწრებით, გამგეობის სადგომში იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა (безъ переторжки) იმ **ცარიელ მიწის გაუიდვაზედ**, რომელიც ქალაქს ეკუთვნის და რომელიც შეიცავს 55 (ორმოც-და-ხუთმეტს) ოთხკუთხ საქენს. ეს ადგილი მდებარებს ქალაქის მე-15 უჩასტკაში, მეორე განყოფილებაში. (2—2)

მიხელსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება ბალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი**, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

კერძო რეალური სასწავლებელი ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვისა.

თფილისი, ბალების ქუჩა, სახლი პ. ი. შადინოვისა, № 34.

ამზადებს შესასვლელათ რეალურ სასწავლებელში, სამხედრო გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში.

სასწავლებლის კურსი ეთანხმება მთავრობისაგან დაწესებულს რეალურ სასწავლებლების კურსს.

მომავალი სასწავლო წლიდგან იხსნება ამ სასწალებელში მეოთხე კლასი. მისაღები **ეგზამენიები დაიწყება** 21 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—1-ს სექდემბრიდგან.

მიღების პირობეები შეიძლება შეიტყოს ყოველ დღე სასწავლებელში.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	ბ.	კაპ.	ბ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ლუშეთს, სილნალს . .	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში . .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა, ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ.
ერთ წიგნის		4
დ. ბ. ჭდილის (ბეჭდ. მისხალი) .		8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 4 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	40
—ამერიკისა, ფუთი . .	8	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატული თუშური ფუთი.	8	—
—თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონ, ფუთი	6	50
ქონის სანთელი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ულავ გრგვალი, გირვ . .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთ.	8	50

თფილისის სამკურნალო		
ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.		
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს		
დღე დილის 8 საათიდამ 10-მდინ.		
ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—თვალისა და ხირურგიულ.		
სამშაბათს: ვერმიშევი—შინ. ბაქსტი ენენერიულისა და კანის		
ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის,		
პეუნოვი—თვალის.		
ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების		
ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბ. ხუტოვი—ქალისა და ნერვების.		
პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.		
შაბათს: ვერმიშევი შინ. გ., ბაქსტი-გულ სა და პეუნოვი—თვალის.		

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августа 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი